

სტერეოტიპებისგან შორს მდგარი იმიჯი. მის პიესებში საინტერესო ლირიკულ-კომიკური სუბიექტებია, აქტუალური მორალური კონფლიქტები, ურთიერთობის თანამედროვე ფორმა და ეს ყველაფერი არეულია ორიგინალურ სტილში. ელჩინის წერის მანერა ყოველთვის იძლევა საშუალებას, რომ შეიცვალოს სტრუქტურა და მოხდეს ახალი ფორმით ინსცენირება დაფუძნებული გმირების განვითარებაზე.

ელჩინის დრამატურგიაში ორი ტიპის სიუჟეტი შეინიშნება. პირველი ტიპია ცენტრიდანული კომპოზიცია, სადაც გმირების სისტემა ჩამოყალიბებულია იერარქიულად. ეს ნიშნავს, რომ მთავარი გმირის პირადი მორალური კონფლიქტები და მისი ვალდებულება საკუთარი სინდისის წინაშე და საზოგადოებაში ხდება სიტუაციის ძირითადი თემები (მკვლელის პიესა). მეორე ტიპის სიუჟეტში ყველა გმირი იზიარებს კონფლიქტისთვის საჭირო დრამატულ დატვირთვას. აქ სიტუაცია აჭარბებს გმირებს. ამ პიესებში კონფლიქტები ხდება ცხოვრებისეული პარადოქსის შედეგი. ამ ტიპის პიესებში გმირები, როგორც წესი, ჩათრეული არიან კონფლიქტებში თავისი სურვილის მიუხედავად (პიესა „ტელესკოპი“).

ელჩინის პიესებში დრამატული ქმედებების მთლიანად ფორმა და სტრუქტურა სრულიად შეცვლილია. ამ ტიპის შეჯახებები არის არსებითი მისი დრამატურგიისათვის. ამ პიესებში გმირების სურვილები და განზრახვები ძალიან განსხვავებულია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბსოლუტურად ახალია. დრამატული დაძაბულობა იქმნება მათი აქტიურობით. აქ, დრამატურგი ასრულებს არქეოლოგის როლს ადამიანის ვნებების და შიშის სფეროში. ამ თემების და სუბიექტების კვლევაში ელჩინმა დაუჯერებელი სამუშაო შეასრულა.

ელჩინის პიესები კარგადაა ცნობილი არა მარტო აზერბაიჯანული თეატრის სცენისათვის, არამედ ისინი დაიდგა საზღვარგარეთის ისეთ ქვეყნებში, როგორცა ინგლისი, თურქეთი, რუსეთი, უკრაინა და ა.შ. ელჩინი როგორც დრამატურგი, როგორც იუნის იმრემ განაცხადა, არის ხანგრძლივი და დელიკატური გზა. ეს არის აგრეთვე გზა აზერბაიჯანის დრამატურგიისა და ეროვნული თეატრის.

**ნათელა ოსმანლი , ისმაილ იმანოვი**

## ლიფტი

რუსულიდან თარგმნა ლიკა ჭელიძემ

**გოგონა** პატარა შავ კაბაში და წვრილქუსლიანი ფეხსაცმლით, თმა კოხტად დავარცხნილი, ხელში პატარა ჩანთით. ის ლიფტის წინ დგას, ღილაკს ნერვიულად აჭერს თითს, მოუთმენლად ცქმუტავს. ოდნავ მოშორებით დგას **მამედოვი**. მას ძველი გახეხილი ჯინსები აცვია, თითქმის მუხლამდე აკეცილი, რეზინის კეტები, მაისური რობოტის გამოსახულებით საბრძოლო პოზაში, ხელში ლედვით სავსე კალათა უჭირავს. **მამედოვი** მობილური ტელეფონით ლაპარაკობს.

**მამედოვი.** აბა გოგონი, პატარავ, კარგად. აუფიდერზეინ, მაინე კლანე.

**გოგონა** ტრიალდება გერმანულის გაგონებაზე, **მამედოვი** საუბარს ამთავრებს და ლიფტს უახლოვდება.

**გოგონა** (გალიზიანებული). გამოდის, რომ მეთორმეტე სართულზე ფეხით ასვლა უფრო ადვილია!

**მამედოვი** მხრებს უხმოდ იჩეჩავს.

**გოგონა**. ამ ქვეყანაში ნორმალურად შენებას ვერასოდეს ისწავლიან! სრულიად ახალი სახლია, სამი ლიფტიდან კი, მხოლოდ ერთი მუშაობს. და რატომ? იმიტომ რომ ატკატი აიღეს და რაღაც იაფფასიანი ნაგავი იყიდეს.

**მამედოვი** (ჩაფიქრებული). დ-დ-დიახ.

როგორც იქნა კარი იღება, ისინი ლიფტში შედიან. უხმოდ მგზავრობენ. **მამედოვი** ვერ გარკვეულა, დადგას ძირს ლედვიანი კალათა თუ არ ღირს, ბოლოს და ბოლოს გაბედავს. ამ მომენტში ლიფტი ჩერდება.

**გოგონა**. ვაი. ეს თქვენ გააკეთეთ? (ხვდება, რომ სისულელე თქვა. უხერხულად ჩუმდება.)

**მამედოვი** (ჩაფიქრებული). დ-დ-დიახ.

**გოგონა**. აქ სპეციალური ღილაკი უნდა იყოს! ა? თქვენ უკვე დააჭირეთ? იმედია, რომ აქ არ დავიხრჩობით.

**მამედოვი**. რატომ დავიხრჩობით? მე მგონი, ვენტილაცია მუშაობს.

**გოგონა**. ან შახტში არ ჩავვარდებით!

**მამედოვი**. ან მე მანიაკი არ აღმოვჩნდები.

პაუზა ჩამოწვა, **გოგონა მამედოვს** შეშინებული უყურებს. სმარტფონს ამოიღებს, ინტერნეტში შესვლას ცდილობს.

**მამედოვი**. ისე, მე ვიხუმრე.

**გოგონა** მის რეპლიკას იგნორირებას უკეთებს, სმარტფონშია ჩართული.

**გოგონა** (აღშფოთებული). მათ ეს მოსწონთ! მე ლიფტში გავიჭედე, მათ კი ეს მოსწონთ!

სცენის თავზე ეკრანზე ფეისბუკია, „კედელზე“ სტატუსი ჩნდება: Lala Alekperova „ლიფტში გავიჭედე ვიღაც იდიოტთან ერთად. უკვე გარეთ გამოვდიოდი, როცა გამახსენდა, რომ საფულე დამრჩა. დაბრუნება გადავწყვიტე, ამას ჰქვია...“ 16 მომხმარებელს ეს მოსწონს.

კომენტარები: 1. „შე საწყალო, როგორ გითანაგრძნობ! მთავარია სიმშვიდე შეინარჩუნე.“ 2. „ალიკმა იცის?“

Lala Alekperova „არა, ვერ ვურეკავ! გასულია მომსახურების ზონიდან! მესიჯი უკვე გავუგზავნე.“

**მამედოვი**. ჩემი ტელეფონი არ იჭერს, თორემ მეზობელს დავურეკავდი. (დახმარების ღილაკს ბოლომდე აჭერს თითს). იქნებ ვიყვიროთ? (ყვირის) ეი! ვინმემ გვიშველეთ!

**ლალა.** ამ ქვეყანაში ყველაფერი ყოველთვის ისე იქნება, როგორც არის. ერთადერთი მოქმედი ლიფტი გაიჭედა, და ეს არავის არ ეხება!

სინათლე ქრება. სცენის მარცხენა ნახევარი ნათდება. ლალა მყუდრო ოთახში შემოდის, ტახტზე ჯდება, ტორშერს ანთებს. ოთახის მოწყობილობა იმაზე მეტყველებს, რომ ის ძველი ბინიდან გადმოიტანეს, ოდნავი რესტავრაცია გაუკეთეს, მაგრამ ყოფილი ინტერიერი შეინარჩუნეს. ტახტზე ლალას გვერდით ხანშიშესული მოვლილი ქალი ზის, ის წიგნს ფურცლავს.

**ლალა.** დიდი ხანია შევნიშნე, რომ ხალხი ორ ნაწილად იყოფა. ისინი, ვისაც უნდა წასვლა და ისინი, ვინც მიდინან. ისინი, ვისაც უნდა დაქორწინება და ისინი, ვინც ქორწინდება. ისინი, ვისაც უნდა მოწევას თავი დაანებოს და ისინი, ვინც ანებებს. მე, როგორც ჩანს, პირველ ნაწილს ვეკუთვნი.

**დედა.** ვითომ რატომ? მოწევას ხომ დაანებე თავი! (პაუზა). ერთხელ. შარშან. ერთი თვით.

**ლალა** (იგივე ტონით). და გავთხოვდი. ერთხელ. სამი წლის წინ. ხუთი თვით.

**დედა.** მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი.

**ლალა.** შენ რომ თანახმა ყოფილიყავი, შეიძლება არც გავყოლოდი. მაგრამ შენ ისე მეზრმოდი, რომ სხვა გამოსავალი არც მრჩებოდა, ჩემი უნდა გამეტანა.

**დედა.** ღამის სამ საათზე მოეთრეოდა! (უფრო დაბალ ხმაზე) მთვრალი!

**ლალა.** გეყოფა რა, დე. სულაც არ იყო ცუდი ბიჭი. რაღაც დონეზე კარგიც კი იყო. სმითაც ბევრს არ სვამდა.

**დედა.** თუმცა, იმ ძუკნას გამო ხომ მიგატოვია!

**ლალა.** ძუკნა რა შუაშია, დე. ჩაალაგა კაცმა ბარგი და წავიდა, ღმერთმა კარგად ამყოფოს.

**დედა** (აწყვეტილებს). სხვათაშორის, ჩვენი უთო გააყოლა ხელს.

**ლალა.** დე, შემთხვევით მოუვიდა.

**დედა.** და ხორცის მანქანის დანაც.

**ლალა.** ეგ დანა შენ გადააგდე! იმას რად უნდოდა ჩვენი ხორცის მანქანის დანა?!

სინათლე ქრება. ლიფტში ინთება. კაბინაში ლალას და მამედოვს ვხედავთ.

**მამედოვი.** შეიძლება თქვენი ტელეფონით ვისარგებლო?

**ლალა.** მე რატომღაც მხოლოდ ინტერნეტში შესვლა გამომდის... დარეკვა კი, არაფრით.

**მამედოვი.** ეს ლიფტი რაღაც ანომალურ ზონაშია. აქ არასოდეს არ იჭერს.

**ლალა.** იქნებ მართლა ვიყვიროთ? ეი! ვინმემ გვიშველეთ!

**მამედოვი.** ლეღვი გინდათ?

**ლალა** (გამომცდელად ახედ-დახედავს). არა, გმადლობთ. (ლეღვიან კალათს გადახედავს) აგარაკიდან მოგაქვთ?

**მამედოვი.** რაგამჭრიახი ხართ! როგორ მიხვდით? წინასწარმეტყველი ბრძანდებით?

**ლალა** (იჭმუხნება) ნუ მაიმუნობთ. მე აფშერონი არ მიყვარს.

**მამედოვი.** კურშეველი გირჩევენიათ?

**ლალა.** უბრალოდ ზღვა არ მიყვარს, ტყე უფრო მიყვარს, მდინარე, ბალახი.

**მამედოვი.** ბალახი?

**ლალა** (გალიზიანებული). ბალახი! რომელზეც დადიან.

**მამედოვი.** ზღვა ყოველთვის უკეთესია.

**ლალა.** რატომ?

**მამედოვი.** არ ვიცი, მე ყოველთვის მიყვარდა ზღვა.

**ლალა.** აგარაკზე რას საქმიანობდით?

**მამედოვი.** სტანდარტული სააგარაკო ამბავია. კოლოებს ვებრძოდი. პლაჟზე დავდიოდი. დილით სამედიცინო გადაცემას ვუყურებდი.

**ლალა.** ექიმი ხართ?

**მამედოვი.** არა.

**ლალა.** გადაცემა რაზე იყო?

**მამედოვი.** სქესობრივ დისფუნქციაზე მამაკაცებში.

**ლალა** (დამცინავად). გითანაგრძნობთ.

**მამედოვი** (შემცბარი). არა-არა.

**ლალა** (დამორცხვებული). არა, კი არ განვიცდი. ცუდად გამომივიდა.

**მამედოვი.** გადაცემის წამყვანი ჩემი მეგობარია. მე უბრალოდ ვუყურებდი, ნუ გეშინიათ.

**ლალა.** სულაც არ მეშინია.

ეკრანზე სცენის თავზე „ფეისბუკია“. ლალა მეგობარ გოგონასთან მიმოწერას აწარმოებს (როდესაც შეტყობინებას ლალა კრეფს, სატელეფონო კლავიატურის ხმა ისმის, როდესაც მეგობარი გოგონა ბეჭდავს - იგრძნობა, რომ ეს კომპიუტერის კლავიატურაა).

**მეგობარი გოგონა.** ეს „იდიოტი“ როგორია? სიმპათიურია?

**ლალა.** რას ამბობ! ერთი მისი მათური განახა, და ტურტლიანი ფეხები კეტებში.

**მეგობარი გოგონა.** ფუუუ. ალიკი არ გამოჩენილა?

**ლალა.** არა, გასულია მომსახურების ზონიდან.

**მეგობარი გოგონა.** „იდიოტი“ ბებერია თუ ახალგაზრდა?

**ლალა.** გაურკვეველია. (ყურადღებით აკვირდება მამედოვს, მამედოვი გაკვირვებული უყურებს) ასე ოცდაათი წლის, შეიძლება ოცდათხუთმეტის.

**მეგობარი გოგონა.** საქორწილო ბეჭედი თუ აქვს თითზე?

**ლალა.** გემუდარები! თითქოს თუ არა აქვს, რამის მაჩვენებელი იყოს. თანაც რა განსხვავებაა.

**მეგობარი გოგონა.** ასე ნუ იტყვი, თუ ის შენი მეზობელია... თქვენი სახლი ღარიბებისთვის არ არის განკუთვნილი.

**ლალა.** იქნებ ისიც, ჩემი და დედასი არ იყოს, ხელსაყრელად „დაანგრიეს“? თანაც გემუდარები, რა! ყველაფერზე ეტყობა, რომ საუკეთესო შემთხვევაში საბურავებით ვაჭრობს. სახეზეა განათლების უქუნლობა, ინგლისურად ნაღდად ჰა-ჰა იცის this is a table who is on duty today, ცოლად შორეული ნათესავი ითხოვა, ჩაპუტკუნებული და წყალ-წყალა კუდით თავზე. დარწმუნებული ვარ, ისინი ქმრის მშობლებთან ერთად ცხოვრობენ, ერთი-ორჯერ შემხვდნენ მარკეტში სახლის ქვეშ.

**მეგობარი გოგონა.** ააა! მის ცოლს კი CHANEL-ის მაისური აცვია, ბრჭყვიალებით.

**ლალა.** ჯინაზე დედაჩემი პანსიონატშია, თორემ დიდი ხანია მთელ სახლს ფეხზე დააყენებდა.

**მეგობარი გოგონა.** რა ცუდი აზრის ხარ ჩემზე. მე უკვე დავრეკე საინფორმაციოში, საავარიოში და ხელოსანიც კი გამოგიძახე. მალე გაგათავისუფლებთ, ფართიზე გაემგზავრები. მალე კი ალიკიც ანერვიულდება, თვითონ მოქროლდება.

**ლალა.** მოქროლდება, აბა, მეტი დარდი არა აქვს...

მამედოვი ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს ამოიღებს, ხსნის, ტელეფონში თავჩარგულ ლალას უყურებს, მძიმედ ამოიხრებს, სიგარეტს ისევ ჯიბეში იდებს.

**ლალა** (ტელეფონს თვალს არ წყვეტს) არც იფიქროთ!

**მამედოვი.** რატომ? მე შემძლია კარი ოდნავ შევადო და შახტში გავაბოლო.

**ლალა.** თქვენ რა, გაგიჟდით?!

**მამედოვი.** თქვენ როცა ნერვიულობთ, ლოყები გეჩხვლიტებათ (თავისთვის მოულოდნელად) გათხოვილი ხართ?

**ლალა.** არა. (პაუზა) რა იყო რო?

**მამედოვი.** (გზადაგზა ფიქრობს) მე... მე? ჰმ. მე თქვენი ქმრის იმედი მქონდა. შეწუხდება, გამოგვიშვებს.

**ლალა.** თქვენი მეუღლის იმედი გქონდეთ.

(პაუზა)

მამედოვი სევდიანად ილიმება და ხმას არ იღებს.

სინათლე ქრება. სცენის მარჯვენა მხარე ნათდება. მამედოვი თავის ბინაში აღმოჩნდება. ის ტახტზე ნახევრად არის წამოწოლილი და ტელევიზორს უყურებს. ტელევიზორიდან მამედოვის მეგობრის და ამავდროულად სამედიცინო გადაცემის წამყვანის ხმა ისმის, რომელსაც აბასი ჰქვია.

**აბასი** (ხმა ტელევიზორიდან). ახლა კი ტრადიციისამებრ ჩვენი ვიქტორინა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გადაცემა პირდაპირ ეთერში მიდის, და ჩვენ თქვენს სატელეფონო ზარებს ველით, ნომერი თქვენი ეკრანების მარჯვენა კუთხეშია მითითებული. და პირველი კითხვა ასე ჟღერს: სახის რამდენი კუნთიმოქმედებს ღიმილის დროს? მე ვიმეორებ კითხვას: სახის რამდენი კუნთიმოქმედებს ღიმილის დროს? ჩვენი მეორე კითხვა: რა არის ჰემატოფობია?..

სცენაზე ტელევიზორის მხრიდან ხმაურით ჩნდება აბასი. ეს არის მსუქანი, ხმაურიანი და მხიარული კაცი.

**აბასი**. ზაკირ, ადექი, ჩემი გადაცემა შუალამისას არ მიდის, ნუ გძინავს, ეხლა შაბათის დილაა, მოდი, წავიდეთ.

მამედოვი ბალიშს იფარებს სახეზე.

**აბასი**. ჩვენ კვლევა ჩავატარეთ: გადაცემას ძირითადად პენსიონერები უყურებენ, დიასახლისები, დაქვებული მამაკაცების მცირე პროცენტი, და კიდევ ბებიაჩემი და შენ, ჩემი უდიდესი მაყურებელი. (ტახტზე ჩამოჯდება) შენ - ჩემი ბებია ხარ, ზაკირ. (მამედოვს ტახტიდან ააგლიჯავს)

**მამედოვი** (სასოწარკვეთილი). აბას, თავი დამანებე, მე კი არ მეძინება, ნაბახუსევი ვარ.

აბასი მამედოვს ხელს უშვებს, ის კვლავ ბალიშს იფარებს სახეზე.

**აბასი** (სევდიანი ხმით). ყველაფერი გასაგებია, ყველა სიმპტომი სახეზეა. ჯერ ზონიდან გადიხარ, ეხლა ხომ სახლში დროზე დაბრუნება საჭირო აღარ არის, შუალამეს კარგად გადაცილებულზეც შეიძლება შემობორიალება, დალევაც ყოველდღე შეიძლება. შემაკავებელი ფაქტორები იკარგება, აღარსად ჩანს ნაწყენი სახე, ბრაზით დაბერილი ტუჩები. სკანდალებიც, შესაბამისად, აღარსად არის.

მამედოვი ტახტზე ბორგავს.

**აბასი**. შემდეგი ნაბიჯი - ამ ბინაში სხვა ქალები მოგყავს. მათთან წვები ოდესღაც თქვენს საწოლზე. ან ამ ტახტზე, (ტახტზე შეხტება) რომელზეც ოდესღაც თქვენ ერთად იწექით და ტელევიზორს უყურებდით. მაგრამ ყველა ის ქალი ერთჯერადია, არაფერი სერიოზული მეტი აღარ გინდა. (ტახტიდან წამოდგება, ხმა უფრო ომახიანი უხდება) რას გაიშხლართე აკვალანგივით? გეყოფა წუწუნი, იმდენი ცრემლი დაღვარე, რომ კასპიის ზღვაში წყლის დონემ აიწია. მე და შენ ეს ერთად გავიარეთ. იცი, როცა პირველად ვეყრებოდი...

**მამედოვი** (მკვეთრად წამოდგება, ახლა უკვე ზის). აბას, გეყოფა. გაჩუმდი, არაფერი არ თქვა. ეს შენი ფრაზა...

**აბასი**. „როცა პირველად ვეყრებოდი“?

**მამედოვი.** ხო. ეს ფრაზა - დასრულებული ნაწარმოებია. ფარდა.

**აბასი.** მიდი რა. მეც მიჭირდა. მახსოვს, ერთხელ საღამოს რაღაც თავყრილობა იყო, და იქ ჩემი მეგობრის ნაცნობი აღმოჩნდა. რაღაცას ყვებოდა იმის შესახებ, რომ ოდესღაც აგარაკი გაყიდა. გაყიდა თექვსმეტ ათასად, ერთი თვის შემდეგ კი ფასი ოთხმოცამდე გაიზარდა. ყველაფერი ეს იმიტომ მოხდა, რომ მის ოჯახს, ცოლს და შვილებს იქ სიარული არ უნდოდათ, ერთხელ გველი ნახეს იქ და შეეშინდათ. იმ კაცს კი იქ ფერმაც ჰქონდა, ორი ძროხა იყიდა, რძეს იძლეოდნენ, შედეგად აგარაკი ჩალის ფასად გაყიდა, ერთი თვის შემდეგ კი ფასები ასტრონომიულად გაიზარდა. ძროხებიც გაყიდა.

**მამედოვი** (გაკვირვებული). რა ძროხები?

**აბასი** (მშვიდად და სევდიანად). მეწველი. მერე ხბოებიც მოიგეს. და ყველაფერი იმიტომ, რომ ბაღში გველი დაინახეს.

**მამედოვი** (კიდევ უფრო გაკვირვებული). რა გველი? რას ბოდავ?

**აბასი** (ხმამალა და აღშფოთებულად). მეც ამას ვამბობ. ის კაცი ამას ყველაფერს მიყვება, მე კი არ ვუსმენ, მე მხოლოდ თავს ვუქნევ თანაგრძნობით, იმიტომ რომ შიგნით ყველაფერი მეწვის, იმიტომ რომ ცოლმა მიმატოვა და მთელი ჩემი სამყარო დაიმსხვრა. თექვსმეტი ათასი, ოთხმოცი ათასი, ორი ძროხა. ფუი. (მამედოვს მიუჯდება) გაიღიმე რა, ზაკირ, გაიღიმე, იცი, სახის რამდენი კუნთი მოქმედებს ღიმილის დროს?

**მამედოვი.** ოცდაექვსი.

**აბასი** (გაოგნებული, მამედოვს მხრებზე ხელს კიდებს). საიდან იცი?

**მამედოვი.** განმეორებითაა.

**აბასი.** რა?

**მამედოვი** (ტელევიზორისკენ თავს იქნევს). გადაცემა - განმეორებითაა.

**აბასი** (გახარებული). შენ - ჩემი ბებია ხარ. ჩემი ბებია!

მობილური ტელეფონის ზარის ხმა ისმის. აბასი მამედოვს ხელს უშვებს, ჯიბიდან ტელეფონს იღებს.

**აბასი** (ბინაში ბოლთას სცემს). დიახ? ამჯერად რა იყო? საზამთრო ვიყიდი? ეგ ხომ უკვე მითხარი... რა თქმა უნდა, მახსოვს. თუ ვთქვი, რომ ვიყიდი - ე.ი. ვიყიდი... რა საჭიროა ყველაფრის რამდენჯერმე გამეორება?... რა თქმა უნდა, გაღიზიანებული ვარ. მცხელა, აქაფებული დავდივარ, მე აქ ვერთობი, თუ რა?.. (გადის სხვა ოთახში სცენის მიღმა)

მამედოვი მარტო რჩება. ტახტის საზურგეზე გადაწვება.

**მამედოვი.** აბას, შენ აუტანელი ოპტიმისტი ხარ. მხოლოდ შენ შეგეძლო მესამედ ცოლის შერთვა. (თავს ლიფტის კაბინისკენ ატრიალებს) სხვათაშორის, ის გოგონა სიმპათიურია. მყუდროა. ეს ცხვირაბზევილობა, სნობიზმი და ჭირვეულობა რომ მოვაშოროთ, საერთოდ მშვენიერი იქნება. ეს ზედაპირულია, მისი არ არის, მე ვხედავ.

ლალა მემადოვის ოთახში გამოჩნდება, მის გვერდით ჯდება ტახტზე.

**მამედოვი.** მყუდრო. მინდა მოვიკუნტო, თავი მუხლებზე დავადო. (წვება, თავს მუხლებზე ადებს) ის კი თმაზე მომეფერებოდა.

ლალა თმაზე ეფერება.

**მამედოვი.** ისეთი უნდა გავხდე, ვისი გულის ტკენაც შეუძლიათ. ან თუნდაც თავი მოვაჩვენო. ოღონდ მხოლოდ დროებით, სულ ოდნავ (მკვეთრად დგება). მის კისერს ეხება. თმა შეიჭერი?

**ლალა** (არარსებულ კულულებს და კისერს ეხება). ცხელა, ხომ ხედავ? მოდი კინოს ვუყუროთ.

**მამედოვი.** რას ვუყუროთ? რამე ართ-ჰაუსულ სირობას?

**ლალა.** მოდი ფელინი ავიღოთ, ან ტარკოვსკი.

**მამედოვი.** ჩვენს ინტერნეტ-ფორუმებს თუ წაიკითხავს კაცი, მთელი აზერბაიჯანი - შავ-თეთრი კინოს ფანების ჯგუფია.

**ლალა.** შენ რისი ყურება გინდა?

**მამედოვი.** მოდი „გრენდაიზერს“ ვუყუროთ.

**ლალა.** შენი „გრენდაიზერის“ ყურებას არ ვაპირებ (მკვეთრად დგება და გადის).

მამედოვი პულტით უჩინარ ტელევიზორს რთავს და დარბაზში იყურება. იწყება სიმღერა.

**სიმღერა.** Yuke yuke Duke Hurito

Tobe tobe Grendizer

Daichi to umi to aozora to

Tomo to chikatta kono heiwa...

სინათლე ქრება, სიმღერა გრძელდება, ლიფტი ნათდება, ლიფტში ლალა და მამედოვი არიან, კაცის ტელეფონი რეკავს, ზუმერი - სიმღერა „გრენდაიზერიდან“. მამედოვი ზარს პასუხობს.

**მამედოვი.** ალო! აბას! ალო!.. არ ისმის.

ცოტა ხანი უხმოდ დგანან.

**ლალა.** ეს რა უცნაური სიმღერა გაქვთ ზარად დაყენებული?

**მამედოვი** (დამორცხვებული). „გრენდაიზერიდან“ არის.

**ლალა.** „გრენდაიზერიდან“?

**მამედოვი.** დიახ. ბავშვობის გმირი.

**ლალა.** თქვენს მაისურზეც ის არის?

**მამედოვი** (კმაყოფილი ღიმილით) სწორედ ის არის (მაისურს ისწორებს, რომ ლალამ უკეთ შეძლოს დანახვა)

**ლალა** (უნდობლად). რაღაც უცნაურები ხართ. ორივე. ეხლა არ თქვათ, რომ თეთრეულიც ამ გრენდაიზერის გამოსახულებით გაქვთ.

**მამედოვი** (რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ჩუმად არის და იღიმება). არა, თეთრეული ჩვეულებრივია. შავი, აბრეშუმის.

**ლალა** (ჩაიცინებს). თქვენ თურმე ესტეტი ყოფილხართ!

**მამედოვი**. სინამდვილეში ეს მხოლოდ სტერეოტიპია შავი აბრეშუმის თეთრეულის შესახებ. ცივა, ცურდები, საბანი გარბის, ზეწარი ერთ გუნდად იჭმუჭნება.

**ლალა**. იქნებ თქვენ ძილში წრიალებთ და ბორგავთ?

**მამედოვი**. არა, მე მშვიდად მძინავს.

**ლალა**. დეტალებს ნუ ჩავუღრმავდებით.

**მამედოვი** (ოდნავ განაწყენებული). თქვენ თვითონ იკითხეთ.

სინათლე ქრება. სცენის მარცხენა მხარე ნათდება. ლალა იფისში ტიპიურ საოფისე მაგიდასთან ზის, მაგიდაზე კომპიუტერია. ოდნავ მოშორებით ასეთივე მაგიდა დგას, მასთან თანამშრომელი ქალი ზის, საბუთებიდან რაღაცას ბეჭდავს, ერთს გადადებს, მაშინვე მეორეს იღებს, სამუშაოშია ჩაფლული. ლალა პატარა სარკეში იყურება, გვერდზე გადადებს, ამოიოხრებს.

**ლალა**. კარიერის კეთების პროცესში აქეთ-იქეთ სირბილს თავისი პლიუსები აქვს. ფიქრისთვის დრო აღარ გრჩება. შენ მირბიხარ, მირბიხარ, გუშინ ჯერ კიდევ ორშაბათი იყო და ვაშა, უკვე პარასკევია. პარასკევი - ნიშნავს შეკრებას მოდურ კლუბში ან რესტორანში. ქალაქში რამე ახალი გაიხსნება თუ არა, მაშინვე შეხვდები იქ ნაცნობ სახეებს.

**თანამშრომელი ქალი**. უკვე პარასკევია?

**ლალა** (ყურადღებას არ აქცევს). ახალა გამახსენდა, რომ ამასწინათ ვნახე. ოღონდ ის სულელური მაისური არ ეცვა. ვინ ეხატა ზედ... დარტ ვეიდერი?

**მამედოვი** (ლიფტიდან). გრენდაიზერი.

**ლალა** (ყურადღებას არ აქცევს). შამასთან ერთად იჯდა კლუბში, ლუდს სვამდნენ. მე და შამა დაახლოებით თვენახევარი ერთმანეთს ვხვდებოდით, სულ ახალი გაყრილი რომ ვიყავი. მოკლედ, შამა გაურკვეველი მიმართულებით გაქრა. უფრო ზუსტად, გარკვეული მიმართულებით - გამოჩნდა გოგონა, არც დანიშნული ყოფილა ოდესმე, არც გაყრილი, საკმაოდ შესაფერისი, შამას მშობლებმა შვებით ამოისუნთქეს და ვალოკარდინი გვერდზე გადადეს.

**თანამშრომელი ქალი**. დამპლები!

**ლალა**დგება, ოფისში ბოლთას სცემს.

**ლალა.** საერთოდ, რა თქმა უნდა, ჩვენს ფსევდო-პროდასავლურ საზოგადოებაში გაყრა - სულაც არ არის ტრაგედია. ყველა მხოლოდ მხრებს იჩეჩავს. და საერთოდ, ეს ცრურწმენაა. სანამ მათ თვითონ არ შეეხებათ. გაყრილი ქალს „არაფერი აქვს დასაკარგი, გათხოვება საჭირო არ არის“. ერთი-ორჯერ კაფეში წაიყვან, თუ ხამი არ არის და ჭამით არ გასკდება... ერთი ჭიქა ყავა... (პაუზა) კარგი, ჯანდაბას, ხუთი ჭიქა ყავა, თუ ქალბატონი პატიოსნების მწვავე ფორმითაა დაავადებული, ეს საკმაოდ სარფიანი კაპიტალდაბანდება. თანაც საქმე სასიამოვნო ქალთან ურთიერთობას ეხება, რომელიც არაფერს გავალდებულებს.

**თანამშრომელი ქალი** (გამოფხიზლდება). სექსი?

**ლალა.** რა თქმა უნდა, ის სიმპათიურია. ნეტავ სამსახურის შემდეგ დამხვდეს.

კაბინეტის კართან მამედოვი ჩნდება ყვავილების თაიგულით ხელში.

**ლალა.** ღმერთო! რატომ შეწუხდით?

**მამედოვი** (გვერდზე იყურება). პრინციპში თაიგულით ალბათ ნაკლებად მოვიდოდი.

**ლალა** (ყურადღებას არ აქცევს. თაიგულს გამოგლეჯს ხელიდან). ეს ჩემი საყვარელი ყვავილებია! (გვერდზე იყურება) უდაოდ ვერ ვიტან ამ შედებილ ნაგავს, რომელსაც მეყვავილეები მიწდვრის ყვავილებს უწოდებენ. მაგრამ წაკითხული მაქვს - მამაკაცი უნდა წაახალისო!

**მამედოვი** (თეატრალურად). ხომ არ წავსულიყავით...

**ლალა.** სასტუმროში? არა, ის სხვანაირად იტყოდა.

**მამედოვი** (პოლივუდელი მსახიობების სტილში). პატარავ, ჩვენთვის მაგიდა შევუკვეთე.

**ლალა** (სახეს შეჭმუხნავს). რა უბედურებაა?

**მამედოვი** (მშვიდი ტონით). ჭიქა ყავაზე რას იტყვით?

**ლალა** (გვერდზე იყურება). ისტორია მეორდება. კი ბატონო, რატომაც არა?

სიმათლე ქრება. ლიფტი ნათდება. ლიფტში მამედოვი და ლალა დგანან.

**მამედოვი.** ლინზებს ატარებთ?

**ლალა.** არა, რატომ?

**მამედოვი.** არ ვიცი, ასეთი თვალები გაქვთ.

**ლალა.** როგორი ასეთი?

**მამედოვი.** რაღაცნაირი ფერის... ეეეე.

**ლალა**(გაღიზიანებული). როგორი ფერის?

**მამედოვი.** რაღაცნაირი გაურკვეველი, სულელური.

**ლალა.** სულელური? მე სულელური ფერის თვალები მაქვს?!

**მამედოვი.** მთლად ამის თქმა არ მინდოდა. ვგულისხმობ, რომ ერთბაშად ვერ მიხვდები, თვალებია ეს თუ არა.

**ლალა.** ეჭვი გაქვთ, რომ არ არის თვალები?

**მამედოვი.** საერთოდ! (დამორცხვეული) ლამაზიც არის.

ლალა იღიმება.

ლიფტის კართან მოძრაობის ხმა ისმის. მამაკაცის ყვირილის ხმა ისმის „ლალა!“.

**ლალა.** ალიკ?

**ალიკი.** მანდ რას აკეთებ?

**ლალა.** ანუ? გავიჭედე რა, ლიფტში.

**ალიკი.** რას აკეთებ მანდ ამ კაცთან ერთად?

**ლალა.** ალიკ, ლიფტი გაიჭედა, ხელოსანი გამოიძახე.

**ალიკი.** გეთომარებოდა?

**მამედოვი.** ჰმ-მ.

**ლალა.** ალიკ, მთვრალი ხარ?

**ალიკი.** შენ მე შემარცხვინე!

**ლალა.** რა?! მე?! ეს როგორ?!

**ალიკი.** ის არ გეყო, რომ კაცთან ერთად ხარ მანდ, თანაც ამის შესახებ მთელმა ქალაქმა იცის!

**ლალა.** რატომ მთელმა ქალაქმა?

**ალიკი.** სტატუსი ფეისბუკზე! შენ საერთოდ გესმის, რამდენი საერთო მეგობარი გყავს? და ყველა მათგანმა წაიკითხა, რომ შენ, ჩემი შეყვარებული, თითქმის საცოლუ, ლიფტში ვიღაც უცხო კაცთან ერთად გაიჭედე!

**ლალა.** ჯანდაბა! რა არის ამაში კრიმინალური?!

**ალიკი.** შენთვის შეიძლება არც არაფერი! მაგრამ ეხლა ნებისმიერი იტყვის, რომ მე კაცმა არ იცის ვისთან დავიჭირე საქმე!

**მამედოვი.** სადიხოვ, გამარჯობა.

**ალიკი** (პაუზის შემდეგ). მაპატიეთ?

**მამედოვი.** გამარჯობა-მეთქი, სადიხოვ. ხმა მაშინვე ვერ ვიცანი, ძირითადად სხვა ინტონაციები მესმის ხოლმე.

**ალიკი** (განადგურებული). ზაკირ-მუალიმ?

**მამედოვი.** საქმეები როგორ მიდის, სადიხოვ?

**ალიკი.** რაზეა საუბარი... ზაკირ-მუალიმ? მე რომ მცოდნოდა...

**მამედოვი.** ეს ყველაფერი მზაკვრული გეგმაა, სადიხოვ. ჩვენ ყოველთვის ასე ვექცევით მევალებს, როცა გადახდის ყველა ვადა დიდი ხანია გასულია. მძევლად მისი საცოლე აგვყავს ხოლმე.

**ლალა.** მე არა ვარ მისი საცოლე!

**ალიკი.** ზაკირ-მუალიმ, თქვენ ხომ იცით! ჩემი სამუშაოს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მე თვითონაც სხვების მხრიდან გადახდაზე ვარ დამოკიდებული...

**მამედოვი.** მაგრამ, ამბობენ, ძვირფასი მანქანა გიყიდია ცოტა ხნის წინ.

**ალიკი.** ჩემი არ არის, დედასია!

**მამედოვი.** იცი, სადიხოვ, საოცარი საცოლე გყავს. (ლალას უყურებს) მშვენიერია. საოცარი ფერის თვალები აქვს, ისეთი... სულელური... ფერს ვერ ვარჩევ.

**ლალა** (ჩუმად). ნაცრისფერი.

**მამედოვი.** დიახ, ნაცრისფერი. ნამდვილი ნაცრისფერი თვალები. მათ შესახებ მხოლოდ წამიკითხია. და თმაც ისეთი აქვს... და იცი, ჭკუიდან შემშლელი კოჭები აქვს. კიდეც წაკითხული მაქვს, რომ ნამდვილ არისტოკრატ ქალს ხელის და ფეხის კოჭები თხელი უნდა ჰქონდეს, თითქოს ფაიფურის თოჯინას, გრძელი კისერი უნდა ჰქონდეს და ამოწეული ლავიწები. სადიხოვ, შენი საცოლე ნამდვილი ლედია. გასაოგნებელი, ნაცრისფერთვალება. და ღიმილიც მშვენიერი აქვს.

**ალიკი.** დიახ-დიახ, ზაკირ-მუალიმ, რა თქმა უნდა! ლალა, საყვარელო, როგორ ხარ მანდ? ხელოსანი გამოვიძახე. უკვე მოდიან.

**ლალა** (კბილებში გამოსცრის). გმადლობთ.

**მამედოვი.** თქვენ მართლა მისი საცოლე ხართ?

**ლალა.** არა, არც უფიქრია ჩემთვის ცოლობის თხოვნა.

**ალიკი.** ლალა, საყვარელო, მე ვაპირებდი! პატიოსან სიტყვას გაძლევ, ვაპირებდი.

**მამედოვი.** არ დაუჯეროთ.

**ალიკი.** ზაკირ-მუალიმ, გეფიცებით!

**ლალა** (დაბნეული). მერე ფეისბუკი?

**ალიკი** (სრულიად სერიოზულად). მოაშორე ეგ სტატუსი, სანამ ჯერ კიდეც ყველას არ წაუკითხავს. მერე დაწერ, რომ ეს ხუმრობა იყო.

**ლალა.** მაგრამ...

**ალიკი.** ლალა, ჩემო ფერიავ, უნდა წავიდე. დედა მელოდება.

**მამედოვი.** იმ მვირფასი მანქანით არის?

**ალიკი.** დიახ. უფრო სწორად, არა. ანუ, დიახ, ვგულისხმობ, რომ მანქანა დედასთან არის, რა თქმა უნდა. მე ტაქსით ვარ.

**მამედოვი.** შენს მდგომარეობაში რომ ვიყო, სადიხოვ, მე ავტობუსით ვიკატავებდი. ტაქსზე ეკონომიას თუ გაწევ, იქნებ ვალებიც გაისტუმრო.

ალიკი არ პასუხობს. მიდის.

**ლალა.** თქვენ ვალების ამკრეფი ხართ?

**მამედოვი.** რაღაც მსაგავსი.

**ლალა.** კარგად გამოგდით. ისე დამაჯერებლად ლაპარაკობთ. გაჭედილი ლიფტიდანაც კი. მაგრამ ალიკს ფული არა აქვს.

**მამედოვი.** ვიცი, სადიხოვმა ყველაფერი გამოჭამა.

**ლალა.** დედა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ მე საკუთარი ნებით ვპოულობ იდიოტებს.

**მამედოვი.** დედას ყოველთვის უნდა დაუჯეროთ. ამის შესახებ რაღაც ჭკვიანური ციტატა არის სადღაც.

**ლალა.** ბევრს კითხულობთ?

**მამედოვი.** საიდან მოიტანეთ?

**ლალა.** თქვენ ამბობდით, რომ წაკითხული გაქვთ თვალების და კოჭების შესახებ.

**მამედოვი.** ეს ერთი წიგნი იყო.

**ლალა.** რომელი?

**მამედოვი.** „დაშნა“.

**ლალა.** რიბაკოვი წაკითხული მაქვს, იქ არაფერია თვალების და კოჭების შესახებ.

**მამედოვი.** ე.ი. „ბრინჯაოს ფრინველი“ იქნებოდა.

**ლალა.** არა. „გასროლა“-შიც არ ყოფილა.

**მამედოვი.** თქვენ, ალბათ, უყურადღებოდ კითხულობთ. ეს რა, მართლა არ არის ლინზები?

ლალას ტელეფონი რეკავს. დილაკს აჭერს, ალიკის ხმა ისმის. ლალა გაკვირვებულია, რომ ზარი გამოვიდა.

**ალიკი.** ლალიკო, იმ წიწკას ახლოს იცნობ?

**ლალა.** რომელ წიწკას?

**ალიკი.** ნუ, ზაკირ მამედოვს. ოღონდ ისე ილიპარაკე, რომ ვერ მიხვდეს, მე რომ ვარ.

**ლალა.** ოკ.

**ალიკი.** ლალიკო, მას აშკარად მოსწონხარ. პატარავ, ხომ არ გაგიჭირდება ერთი მცირედი რამ სთხოვო?

**ლალა.** რა?

**ალიკი.** სთხოვე ჩემ ვალთან დაკავშირებით ცოტა დაამუხრუჭოს. ეს არც ისე რთულია, აბრალოდ გადავადება მჭირდება.

**ლალა.** შენ რა, იდიოტი ხარ?

**ალიკი.** შენ მას მოსწონხარ. რა პრობლემაა?

**ლალა.** იქნებ მე მასთან... (სიტყვა უწყდება, დაბნეული უყურებს მამედოვს)

**ალიკი.** ნუ აზვიადებ, პატარავ, რა მოხდა ასეთი? უბრალოდ ფრთხილად დაელაპარაკე.

**ლალა.** შემდეგ?

**ალიკი.** შენ უკვე დიდი გოგო ხარ.

**ლალა.** ნაბიჭვარო. (ტელეფონს თიშავს)

**მამედოვი.** (აუღელვებლად) სადიხოვმა დარეკა? გთხოვთ, რომ გადავადებაზე გეჩალიჩათ?

სინათლე ქრება. სცენის მარჯვენა ნახევარი ინთება. კაბინეტში დიდ მაგიდასთან მამედოვი ზის. მის პირდაპირ სკამის კუთხეზე ალიკია ჩამომჯდარი.

**მამედოვი.** სადიხოვ, იცი ანეკდოტი ბენტლიზე და ასფალტის დამგები მანქანის შესახებ?

**ალიკი.** რაღაცა მახსენდება (იღიმება, უნდა რომ თავი მოაწონოს მამედოვს).

**მამედოვი.** ბენტლი რაღაცას შეასკდება...

**ალიკი.** მილიციას გამოიძახებს...

**მამედოვი.** მილიციელი კი ევითხება ასფალტის დამგები მანქანის გაშტერებულ მძღოლს: „აბა მოყევი, როგორ მოუხვიე და გზა როგორ მოუჭერი?“

**ალიკი.** დიახ-დიახ, სასაცილო ანეკდოტია... (იღიმება, მაგრამ თითქმის არაფერი არ ესმის)

**მამედოვი** (მკვეთრად). აბა მოყევი, სადიხოვ, როგორ მოუხვიე და გზა როგორ მოუჭერი?

**ალიკი.** ზაკირ-მუალიმ, მე თქვენი არ მესმის.

**მამედოვი.** სადიხოვ, ეს შეხვედრა შენ ითხოვე. გეყოფა ზღაპრების მოყოლა. (მაგიდიდან საბუთებს იღებს) კრედიტის არამიზნობრივი გამოყენება, ეს - ერთი. (საბუთების ნაწილს მაგიდაზე აგდებს) ვადის გადაცილება პროცენტებისა და ძირითადი ვალზე, ეს - ორი. (დარჩენილ საბუთებსაც მაგიდაზე აგდებს) შენი საქმე წასულია, სადიხოვ. მორჩა. სასამართლო, გადაწყვეტილება, სასამართლოს აღმასრულებლები უკვე კარზე გიკაკუნებენ. ბინა, აგარაკი მარდაკანში. აიკრიფე

გუდა-ნაზადი და ბონ ვოიაჟი. ძაღლის თავი კი იცი სად არის დამარხული? მთელი ჩაგირავებული უძრავი ქონება შენი არ არის, დედაშენისაა.

**ალიკი.** დედა. ზაკირ-მუალიმ, მე ყველაფერს დავაბრუნებ.

**მამედოვი.** ეჭვი არ მეპარება.

**ალიკი.** პატიოსან სიტყვას გაძლევთ, დავაბრუნებ.

**მამედოვი.** შენ სკოლაშიც ასეთი იყავი, სადიხოვ. ასეთი პატივსაცემი ქალბატონის ვაჟიშვილი და ასეთი გამომტერებული. დღემდე არ მესმის, კრედიტი როგორ მოგცეს, მაგრამ ეს ამ ბანკის ყოფილი ხელმძღვანელობის სინდისზე იყოს.

სინათლე ქრება. ლიფტი ნათდება. ლიფტში მამედოვი და ლალა არიან.

**ლალა.** მაშ თქვენ ბანკში მუშაობთ?

**მამედოვი.** დიახ, რა არ მეტყობა?

**ლალა** (იცინის). არა.

**მამედოვი.** რატომ ვითომ? ბანკის თანამშრომლებსაც აქვთ ხოლმე ზაფხული, შვებულება, დასვენების დღეები, ბოლოს და ბოლოს.

**ლალა.** მაგრამ თქვენ ძალიან მსუბუქი სტილი გაქვთ, ბანკისთვის შეუფერებელი. ეს ჯინსები, რობოტიანი მაისური. ვიცი, გრენდაიზერიანი. ზედმეტად შემოქმედებითი იერი გაქვთ. თითქოს ვიღაც ფოტოგრაფი ხართ.

**მამედოვი.** ან საბურავების გამყიდველი.

**ლალა** (იცინის, პაუზის შემდეგ). დიდი ვალი აქვს თქვენი?

**მამედოვი.** ჩემი? ჩემი არცერთი კაპიკი, ბანკის ვალი შედარებით დიდია.

**ლალა.** რამდენად დიდია?

**მამედოვი.** ნახევარი მილიონი.

**ლალა** (დაუსტვენს). აი ეს მესმის.

**მამედოვი.** მეტის შემთხვევებიც არის.

**ლალა.** ეჭვი არ მეპარება.

**მამედოვი.** აჰა. თქვენ?

**ლალა.** მე?

**მამედოვი.** თქვენ რად მუშაობთ?

**ლალა.** მე მარკეტოლოგი ვარ.

**მამედოვი** (იციანის). ე.ი. მატყუარა. აფერისტი და მატყუარა.

**ლალა**. ვითომ რატომ?

**მამედოვი**. მთელი ბოროტება მარკეტინგს მოაქვს. თქვენ ჩემი ცნობიერებით მანიპულირებთ, თქვენ მე ფულის ხარჯვას მაიძულებთ, და შედეგად, ფულის შოვნასაც მაიძულებთ. თქვენს გამო მე ჩემი დროის ლომის წილს დახუთულ ოფისში ვატარებ...

**ლალა** (აწყვეტილებს). მაგრამ მე პარფიუმერულ კომპანიაში ვმუშაობ, ეს კოსმეტიკაა ქალებისთვის.

**მამედოვი**. მნიშვნელობა არა აქვს.

**ლალა**. თქვენ რა, მაშაყირებთ?

**მამედოვი**. სხვათაშორის, ამ სადამოს რას აკეთებთ?

სინათლე ქრება. სცენის მარცხენა მხარე ნათდება. ლალას ბინაში ტახტზე მამედოვი ზის, ლალა კი გარშემო უვლის.

**ლალა**. დღეს ვიხსენებდი, როგორ გავიცანით მე და შენ ერთმანეთი.

**მამედოვი**. ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან ქუჩაში, თეატრებში, ქორწილებში. ჩვენ კი ერთმანეთი ლიფტში გავიცანით.

**ლალა**. ისეთი სასაცილო იყო, ვიღაც დეგენერატი მეგონე, იმ მაისურის გამო...

**მამედოვი და ლალა** (გუნდურად). გრენდაიზერით.

**მამედოვი**. დეგენერატი სადიხოვი იყო, მე კი „მეაგარაკე“ ვიყავი. „მეაგარაკეობა“ საკმაოდ ღირსეული ამბავია, ხოლო ოლიგოფრენია და დედიკოს ბიჭობა - არც ისე. სადიხოვთან საქმის დაჭერა როგორ მოახერხე? მე მაშინ ისიც კი გავიფიქრე, რომ შენთან დაახლოება არც ღირდა, რადგან ნაცნობობის ასეთი წრე გყავს.

**ლალა**. როგორ შეგეძლო?

**მამედოვი**. მარტივად. კარგი, ნუ იბუტები, ეს შენს არასტაბილურ ემოციურ მდგომარეობას მივაწეროთ.

**ლალა**. არასტაბილური მდგომარეობა? ჩემი შენ გითხარო. შენ არ იყავი, მუდმივად ტახტზე რომ გორაობდი და იტანჯებოდი ცოლთან გაყრის გამო? მერე შენი აბასი მოდიოდა და გალურჯებამდე ლოთობდით. იტანჯებოდი, სვამდი, იტანჯებოდი, სვამდი.

**მამედოვი**. ეს იმიტომ, რომ მე სათუთი ბუნების კაცი ვარ და ყველა ამქვეყნიურ სიუხემეს მწვავედ განვიცდი და გული მტკივა.

**ლალა**. ნუ შაყრობ. შენ ბანკის ცინიკოსი თანამშრომელი ხარ. ალიკის დედას ბინა წაართვი.

**მამედოვი**. მე კი არა, ბანკმა. დაგირავებული ქონების რეალიზაციის შედეგად ბანკისადმი დავალიანების დაფარვის მიზნით.

**ლალა** (სარკაზმით). სათუთი ბუნების კაცი!

**მამედოვი**. ჩვენი ფინანსური ორგანიზაცია თავის ინტერესებს მისდევდა. სადიხოვის დედილოს კი არაფერი არ მოუვიდა, ის მშვიდად გადაბარგდა აგარაკზე, მისი აგარაკისთვის ხელი არ უხლიათ. იქ იასამანი აქვს დარგული.

**ლალა**. ალიკს ჩემი თავი წაართვი.

**მამედოვი**. მე მესმის, შენ გინდა იფიქრო, რომ დუელში უნდა გამომეწვია, მაგრამ შენი ალიკი მხოლოდ პაროდია იყო მამაკაცის.

მამედოვის მობილური ტელეფონი რეკავს.

**მამედოვი**. გამაგებინე, დედაშენი რატომ მირეკავს? მან ხომ იცის, რომ მე გვერდით ოთახში ვარ. ვერაფრით ვერ მივმხვდარვარ, მარაზში აქვს თუ რამე სხვა?

ლალას დედა გამოჩნდება.

**დედა**. ლალიკო, ფენი ხომ არ გინახავს?

**ლალა**. არა, არ მინახავს.

**დედა** (მამედოვს ეჭვით უყურებს). და კიდევ ორი თვეა კონსერვის გასახსნელს ვერ ვპოულობ!

**მამედოვი**. მომისმინეთ, მე თქვენ კონსერვის ორი გასახსნელი გიყიდეთ, ნებისმიერი გემოვნებისთვის. და ზედ კონსერვების მთელი ყუთიც მოვაცოლე.

**დედა**. კონსერვის ეს ახალი გასახსნელები სულ აღარ არის ისეთი! ის ფინური იყო, ჩვენმა ცხოვრებულმა მამიკომ ჩამოიტანა ტალინიდან. (სლუკუნებს)

**ლალა**. დედი, წინა ჯერზე ამბობდი, რომ სირიულია და მამამ რატომღაც ქაიროდან ჩამოიტანა.

**მამედოვი**. მეც ამას არ ვამბობ...

**ლალა**. ნამდვილად შენ გადააგდე, ზაკირ! შენ ყოველთვის ასე იქცევი. რამდენი კოვზი გადააყოლე იოგურტების კოლოფებს?

**მამედოვი**. მაგრამ მე იოგურტებს კონსერვის დანებით არ ვხსნი.

**ლალა**. შენ საერთოდ ყველაფერი ფეხზე გკიდია. შეხედე, როგორ ვცხოვრობთ!

**მამედოვი**. დაიწყე. მაინც როგორ ვცხოვრობთ?

**ლალა**. ჩვენ საშინლად ვცხოვრობთ! ოთხნი ამ სოროში ვართ შეკუჭულები!

**მამედოვი**. ერთი წამით. ჩემი ბინის გაქირავება ჩემი იდეა არ იყო.

**ლალა**. მდგმურები რომ არა, ჩვენ და დედიკო შიმშილით დავიხოცებოდით. შენი შემოსავლებით... სხვებს დიდი ხანია რაღაც ბიზნესი აქვთ წამოწყებული, შენ კი... მხოლოდ ხელფასზე ვცხოვრობთ, კაპიკ-კაპიკ, და პრემიები შიგადაშიგ...

**მამედოვი.** ნუ, დავიწყოთ იქიდან, რომ ჩემი ხელფასი...

**ლალა.** ოღონდ არ გინდა იმის შესახებ, რა დიდი ხელფასი გაქვს! შენი მგონი დაგავიწყდა, რომ ბავშვი გაისად კერძო სკოლაში უნდა წავიდეს. რომ გამოგიშვან სამსახურიდან? რა ფულით უნდა ვასწავლოთ?

**მამედოვი.** როგორც ყველა! ჩვეულებრივ სკოლაში! რა ჯანდაბად გინდა ეს ამერიკული, შენ რა გგონია, რომ იქ უკეთესი მასწავლებლები არიან? როგორც მეცხრამეტე საუკუნეში გუვერნერებად ყოფილ მეეტლეებს იყვანდნენ, ეხლაც ასეა. მათემატიკას ყოფილი მეკუბოვეები ასწავლიან!

**ლალა.** შენ ოღონდ ფული არ დაგახარჯინოს კაცმა! ძუნწიც აღმოჩნდი! ამის მერე კი შენ და შენი ნათესაობა მეკითხებით მეორე ბავშვის გაჩენა რატომ არ მინდაო?! ჰა! ნეტავი ერთი მაინც გამაზრდევინა!

**დედა.** შენ თვითონ აირჩიე ის. მე კი გეუბნებოდი, გეუბნებოდი.

**ლალა** (დედაზე გადაერთვება). არ უნდა გეთქვა! შენ პირველ ჯერზეც მეუბნებოდი, და მეორედაც! შენ ხომ იცი, მე ყველაფერს პირიქით ვაკეთებ.

**მამედოვი** (ჩუმად). მე კი მეგონა, რომ სიყვარულით გამომყევი...

**ლალა.** იცი, რატომ ვიხსენებდი ჩვენს ლიფტს? იმიტომ რომ ეს ერთადერთი ნათელი რამ არის, რაც ჩვენთან მიმართებაში შემომჩა.

**დედა.** ქურქიც ძველი გაქვს, ჩრჩილისგან შეჭმული...

სინათლე ქრება. ლიფტი ნათდება. მამედოვი და ლალა ისევ ლიფტში არიან.

**ლალა.** თქვენ რა, მეთომარებით?

**მამედოვი.** რა სისულელეა, რაში მჭირდება (სიგარეტს ამოიღებს, ისევ შეინახავს).

**ლალა.** ლეღვი მომეცით.

**მამედოვი.** ვითომ რატომ?

**ლალა.** მშია.

**მამედოვი.** დიეტაზე არა ხართ?

**ლალა** (გაოგნებული). თქვენ თვლით, რომ დიეტა მჭირდება?

**მამედოვი.** ე.ი. ამბობთ, რომ გათხოვილი არა ხართ.

**ლალა.** არა ვარ. მერე რა?

**მამედოვი.** ე.ი. გაყრილი ხართ.

**ლალა.** აი, დაიწყო...

**მამედოვი.** სულ ტყუილად ხართ დაკომპლექსებული.

**ლალა.** საიდან მოიტანეთ, რომ დაკომპლექსებული ვარ?

**მამედოვი.** თვალებიც კი გაგიმუქდათ, თქვენი ნაცრისფერი, სულელური თვალები. ხოდა, ტყუილად ხართ დაკომპლექსებული. გაყრა მშვენიერია, მე ასე ვთვლი. ეს საუკეთესოა, რაც ადამიანს შეიძლება დაემართოს. ზრდასრულ ასაკში შესვლის უკანასკნელი წერტილია!

**ლალა.** მაშ თქვენც?

**მამედოვი.** რა თქმა უნდა! (ლელვს გაუწვდის) მიირთვით.

**ლალა.** გმადლობთ.

**მამედოვი.** ჯანდაბა, უკვე რვის ნახევარია.

**ლალა.** სადმე გეჩქარებათ?

**მამედოვი.** მეგობარი უნდა მოვიდეს სტუმრად. ის, ტელეგადაცემა რომ მიყავს.

**ლალა.** ა-ა-ა-ა. ის, რომელსაც მამაკაცური სფეროს მხრივ პრობლემები აქვს.

**მამედოვი.** არავითარი პრობლემები არა აქვს! მას მხოლოდ გადაცემა მიყავს, სამედიცინო.

პაუზა. მამედოვი და ლალა ჩუმად არიან.

**მამედოვი.** თქვენ ძალიან ლამაზი ღიმილი გაქვთ.

**ლალა.** უკვე მითხარით

**მამედოვი.** ვიცი, მაგრამ კიდევ ერთხელ მომიხსენიებთ თქმა. ღიმილი გიხდებათ.

**ლალა** (იღიმება). გმადლობთ.

**მამედოვი.** იცით, სახის რამდენი კუნთიმოქმედებს ღიმილის დროს?

**ლალა.** რამდენი?

**მამედოვი.** ოცდაექვსი.

**ლალა.** საიდან იცით? ესეც რიზაკოვთან წაიკითხეთ?

**მამედოვი.** არა, მეგობარმა თქვა.

**ლალა.** რომელმა?

გარედან ხმები ისმის.

**მამედოვი.** აი ამან (თავს გვერდზე გადაიქნევს, ხმამალა) აბას, მე აქ ვარ, გამომართიე, რა.

**ლალა.** და მეც, მეც არ დაგავიწყდეთ.

**დედა.** შვილო, შენ მე გაგანთავისუფლებ.

**მამედოვი.** დედა?

**ლალა** (ამოიოხრებს). დედა.

**დედა.** მე თითქოს რაღაცას ვგრძნობდი, თითქოს ვგრძნობდი. ზეფას ქმარი ქალაქისკენ მოდიოდა, ხოდა მეც ვუთხარი - არიფ, მეც თან წამიყვანე-მეთქი. ეზოში ალიკი შემხვდა, ისეთი ლამაზი მანქანა აქვს... სწორედ მან მითხრა, რომ ლიფტში ზიხარ. არაუშავს, იქ შახტში უკვე მუშაობენ, ეხლა გამოხვალ. ლეღვი ჩამოგიტანე.

**ლალა** (განმარტავს). დედა ყოველ წელს სწორედ კარდიოლოგიურში დადის. იქ მეგობრები ჰყავს. სხვა პანსიონატების გაგონებაც არ უნდა.

**დედა.** იქ საუკეთესო ჰაერი და მშვენიერი ხეღია.

**აბასი.** სევა დედა, მე თქვენ მაშინვე ვერ გიცანით.

**დედა.** ო, აბასიკ! როგორ გაზრდილხარ! კი ვფიქრობდი, რაღაც ნაცნობი სახეა-მეთქი. გულა წელს არ ჩამოვიდა, რატომ?

**აბასი.** როგორ გითხრათ...

**დედა.** არა! ღმერთო...

**აბასი.** რას ბრძანებთ! ეა ის არ არის, თქვენ რაც გაიფიქრეთ!

**დედა.** ცოცხალია?

**აბასი.** დედა გათხოვდა.

**დედა.** როგორ! გათხოვდა... ვის გაყვა? სამოცი წლის ასაკში გათხოვდა?

**აბასი**(ნაწყენი). დედა ორმოცდაჩვიდმეტის არის. მისი მეუღლე ინგლისელია, აქ ნავთობ-კომპანიაში მუშაობდა.

**დედა.** მუშაობდა? ეხლა უმუშევარია? თუ პენსიაზეა?

**აბასი.** არა, დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა, დედა მასთან ერთად წავიდა.

**დედა** (პაუზის შემდეგ). ლალიკო, მე ერთი სართულით ზემოთ ავალ, იქ აივანია.

**ლალა.** მოსაწევად წავიდა.

**მამედოვი** (ამოიოხრებს). მისი მშურს.

**ლალა.** მოითმინეთ, ცოტა-ლა დარჩა. (მოულოდნელად) ჩვენ ხომ ჯერ კიდევ არ გაგვიცნია ერთმანეთი.

**მამედოვი.** სადიხოვის წყალობით მე ვიცი, რომ თქვენ ლალა გქვიათ.

**ლალა.** თქვენ კი ზაკირ-მუალიმი ხართ.

**მამედოვი.** მუალიმი სადიხოვისთვის ვარ, ისე კი უბრალოდ ზაკირი.

**ლალა.** აი გაცნობაც შედგა.

**მამედოვი.** თქვენ ლამაზი სახელი გაქვთ. მე ერთი ლალა ძალიან მიყვარს.

**ლალა** (შეფიქრიანებული). და ვინ არის ის?

**მამედოვი.** ჩემი ქალიშვილი.

**ლალა** (გაკვირვებული). თქვენ ქალიშვილი გყავთ?

**მამედოვი.** დიახ. ისევ არ მეტყობა? (იცინის)

**ლალა** (იღიმება) არა. რამდენი წლისაა?

**მამედოვი.** ექვსის.

**ლალა.** დიდია. ხშირად ნახულობთ?

**მამედოვი.** თითქმის ერთი წელია არ მინახავს.

**ლალა.** დედამისი ერთმანეთის ნახვას გიკრძალავთ?

**მამედოვი.** არა, უბრალოდ ისინი გერმანიაში ცხოვრობენ.

**ლალა.** მან ქალიშვილი წაიყვანა და ყველანაირი კავშირი გაწყვიტა?

**მამედოვი** (შეფიქრიანებული). თქვენ წიგნების წერა უნდა დაიწყოთ. მძაფრსიუჟეტის. ჩემი ყოფილი ცოლის ახალი ქმარი ბერლინში მუშაობს ჩვენს საელჩოში.

**ლალა.** ა-ა-ა, ყველაფერი გაცილებით მარტივადაა.

**მამედოვი.** და ნაკლებად დრამატულია.

**ლალა.** მისი ფოტოსურათი გაქვთ?

**მამედოვი.** რა თქმა უნდა (მობილურ ტელეფონს ამოიღებს).

მამედოვი ლალას მობილურ ტელეფონს აწვდის.

**ლალა.** რა ლამაზია! ეს არის თქვენი „მაინე კლაინე“?

**მამედოვი** (იღიმება). დიახ, თქვენ რა გაიფიქრეთ?

**ლალა** (თითქოს თავს იმართლებს). არაფერიც არ მიფიქრია (ტელეფონს უბრუნებს). თქვენ კარგი შვილი გყავთ.

**მამედოვი.** ვიცი. ოღონდ ისე შორს არის. მენატრება.

**ლალა.** აბა რა იქნება (გამამხნეველად იღიმება).

სინათლე ქრება. სცენის მარჯვენა მხარე ნათდება. მამედოვის ბინა. მამედოვი ტახტზე ზის. ლალა ოთახში კუთხიდან კუთხემდე ბოლოთას სცემს.

**ლალა.** რომ არ მოვეწონო?

**მამედოვი.** მოეწონები.

**ლალა.** მე ხომ აზრზე არა ვარ, რაზე ველაპარაკო.

**მამედოვი.** ჰ-მ-მ-მ. შეგიძლია პოლიტიკაზე სცადო...

**ლალა** (ჩერდება). სერიოზულად?

**მამედოვი.** რა თქმა უნდა, არა. რას ნერვიულობ, ის თვითონ ინფორმაციისა და სალაპარაკო თემების ისეთ ნაკადს გამოუშვებს, მთელი დღე ენას ვერ გააჩერებ!

**ლალა** (ისევ დადის). მაინც რომ არ მოვეწონო?

**მამედოვი.** მოეწონები.

**ლალა.** მე თოჯონა ვიყიდე (ტახტის უკნიდან დიდ ლამაზად მორთულ თოჯინას ამოიღებს). აი.

**მამედოვი.** მ-მ-მ.

**ლალა.** რა? უშნოა, ხომ? (თოჯინას ათვალეერებს) არ მოეწონება?

**მამედოვი.** ჰ-მ-მ, არა, უბრალოდ ის... ის ჩვეულებრივ ცოტათი სხვა სათამაშოებით თამაშობს ხოლმე.

**ლალა** (გაფაციცებით). რომელი სათამაშოებით?

**მამედოვი.** რობოტებით, მაგალითად.

**ლალა** (პაუზის შემდეგ). უნდა მივმხვდარიყავი! (საათს უყურებს) მე ვერ მოვასწრებ სათამაშოების მალაზიაში წასვლას.

**მამედოვი.** არც არის საჭირო. კარგი თოჯინაა.

ოთახში დედა შემოდის, ხელში დიდ თეფშზე ნამცხვარი უჭირავს.

**დედა.** კინაღამ დამეწვა.

**მამედოვი.** რა სუნია აქვს!

**დედა.** ეს ჩემი საფირმო რეცეპტია. ნამცხვარი ლელვის ჯემით.

**ლალა.** სრულიად ჩვეულებრივი რეცეპტია, ინტერნეტიდან გადმოგიქაჩე.

**დედა** (ბუზღუნით). კორექტივები შევიტანე, ეს უკვე სულ სხვა რეცეპტია.

**ლალა.** გასინჯვა შეიძლება?

**დედა.** აი, ბავშვს რომ მოიყვანოთ აეროპორტიდან, ვივახშმებთ და ჩაისაც დავლევთ.

**ლალა** (საათს უყურებს). ზაკირ, მე მგონი, ჯობია დავიძრათ, საცობებია ყველგან.

**მამედოვი.** ვდგები, ვდგები.

**ლალა.** რომ არ მოვეწონო?

**მამედოვი** (ტახტიდან დგება, ლალას პირისპირ დაუდგება). ხელები თავს ზემოთ აწიე (ლალა მორჩილად წევს ხელებს). ჰაერი შეისუნთქე (ლალა ჰაერს შეიწოვს), ეხლა კი გამოუშვი (ლალა ჰაერს გამოუშვებს).

**ლალა** (ხელები ჯერ კიდევ თავს ზემოთ უჭირავს). შენ რა, მაშაყირებ? მე გიჟივით ვნერვიულობ, შენ კი...

**მამედოვი** (ლალას ხელებს ჩამოაშვებინებს და მოეხვევა). მოეწონები. დარწმუნებული ვარ.

სინათლე ქრება. ლიფტში ინთება. შიგნით ისევ მამედოვი და ლალა დგანან. ისინი ერთმანეთს უხმოდ უყურებენ.

**ლალა.** მალე ჩვენს ლიფტს შეაკეთებენ.

**მამედოვი.** კი, მაგრამ მე შენს ხმაში გულდაწყვეტის ნოტები მეჩვენება (შენობითზე გადადის).

**ლალა.** არა, მაგრამ აქ ყოფნას უკვე მივეჩვიე, აქ თავს კომფორტულადაც კი ვგრძნობ. და ეს ერთი საათიც ისე სწრაფად გაფრინდა.

**მამედოვი.** სინამდვილეში, ალბათ, სულ რაღაც ოცი წუთი.

**ლალა.** ნუთუ?

**მამედოვი.** ლამაზი ხარ.

**ლალა.** შეგიძლია თემა არ შეცვალო.

**მამედოვი.** იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. შენი თვალები მომწონს.

**ლალა.** სულელური? (იცინის)

**მამედოვი.** ხო, შენი სულელური თვალები. და შენი ღიმილი, და ოცდაექვსი კუნთი. მე ამ ლიფტიდან წასვლა არ მინდა.

**ლალა.** მოდი, აქ დავრჩეთ. ლეღვი ვჭამოთ.

**მამედოვი.** მაგრამ ლეღვი დამთავრდება.

**ლალა.** იცი, ჩვენ უბრალოდ აღარ მოგვინდება კიდევ ერთხელ განვიცადოთ ის გულისტკენა.

**მამედოვი.** ჩვენ ვიფიქრებთ, რომ ყველაფერი ოდესმე მაინც დამთავრდება, გაივლის...

**ლალა.** ჩიხში აღმოვჩნდებით. სიყვარული დამთავრდება, და მხოლოდ მოგონებები იქნება ლიფტის ამ კაბინის შესახებ.

**მამედოვი.** შენ ამ მოგონებების შენარჩუნება მოგინდება. ჩვენზე ფიქრი მოგინდება, შესაძლო სიყვარულზე, გაპარულ ახალგაზრდობაზე.

**ლალა.** შენს გულში სხვა ლალა არსებობს.

**მამედოვი.** მაგრამ ის დიდია, ჩემი გული. შენ რა, ჩემს ცხოვრებაში სხვა ბავშვი არ მოგინდება?

**ლალა.** იქნებ უბრალოდ შემეშინდება?

**მამედოვი.** მაგრამ სხვები ხომ ცხოვრობენ. ჩვენ რატომ არ შეგვიძლია ვცადოთ?

**ლალა.** შენ თვითონ იცი. (სახეზე ეხება) მე მინდა ასეთი დაგიმახსოვრო, სასაცილო, შტერული და ისეთი...

**მამედოვი.** მე კი ასეთი მინდა დაგიმახსოვრო, ბავშვურად კატეგორიული, ამ კაბაში, მოჩქარე ფართიზე, რომელზეც აღარ წახვალ.

**ლალა.** რა თქმა უნდა, აღარ წავალ. იქ რა უნდა ვაკეთო? მე ჩვენს ლიფტში მინდა ყოფნა. მოდი, ისევ აქ შევხვდეთ, ამ კაბინაში აღმოვჩნდეთ, შენ კი...

**მამედოვი.** ...შეუმჩნევლად დავაჭერ ღილაკს „სტოპ“.

**ლალა** იცინის. აბასის და დედის ხმები უფრო ხმამაღლა ისმის, ლიფტის კარი ეს-ესაა გაიღება.

**ლალა.** მე ვისურვებდი, რომ ეხლა გრენდაიზერი გამოჩნდეს, ხელი ჩაგვავლოს და აქედან შორს, შორს გაგვაქროლოს.

**მამედოვი.** მაგრამ გრენდაიზერი მხოლოდ და მხოლოდ სამოცდაათიანი წლების მიწურულის იაპონური მულტფილმის პერსონაჟია. ის კოსმოსური ხომალდიდან გიგანტურ რობოტად გადაიქცევა და პირიქით, მაგრამ ნახატ გმირად დარჩება.

**ლალა** და **მამედოვი** ერთმანეთისკენ საკოცნელად მიიწევენ.

**ლალა.** ის არ მოფრინდება?

**მამედოვი.** არა, ეს შეუძლებელია.

**ლალა.** ვიცი.

ერთი წამიც და ჩვენი გმირები ერთმანეთს აკოცებენ, მაგრამ ამ მომენტში ლიფტში შუქი ციმციმებს, ლიფტი ცოცხლდება, სინათლე საბოლოოდ ქრება, ჩვენი გმირები კი უკოცნელად რჩებიან.

სცენა განათებულია. მუსიკა ისმის. სცენაზე მამედოვი აბასთან ერთად და ლალა დედასთან ერთად დგანან. ლალა და მამედოვი ზრდილობიანად და ნეიტრალურად ემშვიდობებიან ერთმანეთს. სიტყვები არ ისმის. აბასი ლალას დედას თავს დაუკრავს. ლალა და დედამისი კიბისკენ მიდიან, რომ თავის სართულზე ავიდნენ. აბასს ხელში ლეღვით სავსე კალათა უჭირავს, მამედოვი კი ეზოსკენ ექაჩება, თანაც ანიშნებს, რომ სიკვდილამდე უნდა მოწევა. კიბეზე ლალა მოტრიალდება, მამედოვს უყურებს იმ მომენტში, როცა ის მას ვერ ხედავს. ზუსტად ასევე მამედოვიც ლალას შეხედავს, როცა ის მიტრიალდება. ისინი ერთმანეთს შორდებიან.

ფარდა.